აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

08 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-14, 14^1 და მე-15 პუნქტების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, იმ მაუწყებლებმა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, რომელთა სათაო ოფისებიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჯაროდ გამოაცხადონ და უმაღლეს საარჩევნო კომისიაში (რეგიონალურმა ტელერადიომაუწყებლობებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში) წინასწარ წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია: საარჩევნო სუბიექტებისათვის რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი, გაწეული

მომსახურება არაუგვიანეს ყოველი კვირის ორშაბათის 18 სთ-სა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული წარმოსადგენი ფორმების მიხედვით.

მუხლი 2. წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში გაზეთებმა, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გარდა პოლიტიკური პარტიების გაზეთებისა, იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წინასწარ წარმოადგინონ ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობითა და რა დრომდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი, გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე, უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე, ფართობის ტარიფი, გაწეული მომსახურება ყოველკვირეულად, არაუგვიანეს ყოველი კვირის ორშაბათის 18 სთ-სა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული წარმოსადგენი ფორმების მიხედვით.

მუხლი 3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია